ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№94

ქ. თბილისი 24 მაისი 2023 წელი

ერთი მხრივ (შემსყიდველი): შპს „რეგიონული
ჯანდაცვის ცენტრი“
წარმოდგენილი:დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი გიორგი აბაიაძის სახით
საიდენტიფიკაციო კოდი: 236 035 517
მისამართი:ქ. თბილისი,მ.ასათიანის ქ.№9
მიმღები: სს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა.ა GE86LB0113112241617000

მეორე მხრივ (მიმწოდებელი): შპს „იბერ-ინფო“
წარმოდგენილი: გენერალური დირექტორი მაია ცერცვაძე
საიდენტიფიკაციო კოდი: 211349799
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას N41,
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
IBAN: GE96BG0000000345774400

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის $ს^1$ ქვეპუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციის საჭიროებისათვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგ ზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, ასევე ყველა იმ დოკუმენტით რომლებზედაც წინამდებარე ხელშეკრულებაში არის მინიშნება;
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

- CPV – 72261000 პროგრამული უზრუნველყოფის ტექ. მხარდაჭერასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა.

2.2 შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, აღწერილობა, ერთეულის და საერთო ღირებულება განისაზღვრება ელექტრონულ ტენდერში მიმოწოდებლის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტის დანართი №1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს დღგ-ს გათვალისწინებით;

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;
3.3 შესყიდვის ობიექტის ფასი მოცემულია დანართი №1-ში (ფასების ცხრილი), რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. მომსახურების გაწევის ვადა, ადგილი და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მოწოდება განხორციელდება, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5(ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მ. ასათიანის №9.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
5.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

5.1.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად, ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიხედვით მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და ანგარიშ-ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) საფუძველზე, დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
5.3 დაფინანსების წყარო: შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ 2023 წლის საკუთარი შემოსავალი.
5.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
6.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი ზურა ჯაჯანიძე.
6.2 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან/და შეამოწმონ შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.
5.3 შემსყიდველი მომსახურების გაწევის კონტროლს ახდენს სისტემატიურად, საკუთარი შეხედულებისამებრ. კონტროლი ხორციელდება როგორც შუალედური ფორმით, ისე მისი დამთავრების შემდგომ. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოახდინოს დამატებითი კონტროლი.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:
7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.
7.2 მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება საქონლის მოწოდების შემდეგ, ფაქტიურად მგაწეული მომსახურების შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.
7.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი ზურა ჯაჯანიძე.
7.4 მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მაია ცერცვაძე.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს შესაძლოა დაეკისროთ პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 1%-ის ოდენობით.
8.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისას) მიმწოდებელს შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო, შეუსრულებელი (არაჯეროვნად შესრულებული) ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.
8.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.5 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეუსრულებელია, შემსყიდველს უფლება აქვს, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
8.6 მიმწოდებლის მხრიდან, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების 10 (ათი) დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.8 მხარეები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა. ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულებათა გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისათვის შეტყობინებით.
8.9. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარეხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებულიზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

9. მხარეთა უფლებები და ვალდებულებანი
9.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
9.1.1.უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
9.1.2. უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში შემსყიდველისთვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება სრულად, საკუთარი ხარჯებით, შემსყიდველთან შეთანხმებით, გონივრულ ვადაში.
9.1.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს კვალიფიციური სპეციალისტების მეშვეობით, მოქმედი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მეთოდიკისა და ინსტრუქციების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
9.1.4. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა.
9.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების

შესრულებასთან და მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად;
9.1.6. დაიცვას უსაფრთხოების წესები და ნორმები, მიიღოს აუცილებელი ზომები, მათ შორის, ტექნიკური უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, სახანძრო უსაფრთხოების და სხვა მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობისა და ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. ასევე, ,,მიმწოდებელი" პასუხისმგებელია უბედური შემთხვევების პრევენციაზე, მის შედეგებზე რეაგირებასა და აღმოფხვრაზე.
9.1.7. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართებით გათვალისწინებულ მისამართ(ებ)ზე, განრიგის გათვალისწინებით.
9.1.8. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებითა და დანართებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
9.1.9. დროულად დაადასტუროს შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებით გასაფორმებელი დოკუმენტ(ებ)ი;
9.1.10. სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.
9.1.11. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.
9.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:
9.2.1 უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
9.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
9.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
9.3.1 მოითხოვოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების მიხედვით.
9.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულების პირობების დაცვა.
9.4 „შემსყიდველს" უფლება აქვს:
9.4.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
9.4.32. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
9.4.3. ცალხმრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის გარეშე, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით;
10.4 თუ შემსყიდველი ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე მხარე უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან მის მიერ განსაზღვრული გონივრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარისთვის წერილობითი შეტყობინებით;
10.5თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.6 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.7 ხელშეკრულების საბოლოო ღირებულება განისაზღვრება, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებით, რაც არ საჭიროებს დამატებით შეთანხმებას.
10.8. ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
10.9 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.11 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის „....." კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
ე) შემსყიდველი უფლებამოსილია ცალხმრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის გარეშე, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა
11.1 ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის

პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი);
11.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა;
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, რომელსაც თან უნდა ახლდეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისაგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით;
11.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.
12.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
12.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 01 ივლისის ჩათვლით.
13.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონულ ვერსიას აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

14. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“	შპს „იბერ-ინფო“
ს/კ: 236 035 517	ს/კ 211349799
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	გენერალური დირექტორი
გიორგი აბაიაძე	**მაია ცერცვაძე**

Giorgi Abaiadze Digitally signed by Giorgi Abaiadze Date: 2023.05.24 09:32:57 +04'00'

Maia Tsertsvadze Digitally signed by Maia Tsertsvadze Date: 2023.05.24

დანართი №1

#	შესყიდვის ობიეტის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის/სამუშაოს შესრულების ვადა
1	პროგრამული მომსახურება	ცალი	1	250	250	ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, მისამართზე: ქ. თბილისი მ. ასათიანის №9.
	ჯამი				**250**	

შემსყიდველი:

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“

ს/კ: 236 035 517

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი აბაიაძე

მიმწოდებელი:

შპს „იბერ-ინფო“

ს/კ 211349799

გენერალური დირექტორი

მაია ცერცვაძე

Maia Tsertsvadze 01017009614

Digitally signed by Maia Tsertsvadze
Date: 2023.05.24 16:49:29